ტურიზმი და პროფესიული განათლება

ლალი მიქელაძე
სტუ-ს დოქტორანტი
ელ.ფოსტა: lalitourizm@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში ნაჩვენებია საქართველოს ეკონომიკის და მისი ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგის ტურიზმის განვითარებისთვის პროფესიული განათლების მნიშვნელობის აქტუალობა. საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი დაბალი და საშუალო რგოლის ტურისტული მომსახურების სპეციალისტების მომზადების ასპექტები საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის. ქვეყნის.პროფესიული განათლების სტრატეგიის შესაბამისად სექტორის რეფორმის განხორციელება და პრობლემათა გადაწყვეტის რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები:
პროფესიული
ტურიზმი
სტრატეგია
განათლება
ეკონომიკური
რეფორმა

შესავალი

ტურიზმის დარგის განვითარებისა და მისი ეფექტური მართვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის სფეროს მუშაკების პროფესიულ მომზადებას.ტურისტული ინდუსტრიის მუშაკებს უნდა ჰქონდეთ: სასტუმრო მეურნეობის ორგანიზაციის, სხვადასხვა ტურისტული სააგენტოების სამუშაოების და ტურისტული ჯგუფების თანხლებასთან დაკავშირებული საკითხების ღრმა პროფესიული ცოდნა. სპეციალური პროფესიული მომზადება აუცილებელია მომსახურების მაღალი დონისათვის, კლიენტთა მიღების და გაფორმების, ასევე მიმდებარე ტერიტორიის ექსპლუატაციისათვის.

ტურინდუსტრიის მუშაკთა განათლებისა და პროფესიული მომზადებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში პროფესიული განათლების რეფორმის წარმატებით განხორციელება ,პროფესიულ სასწავლებელთა სპექტრის გაფართოება, რაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ სივრცესთან დაახლოებასა და. ტურისტულ შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებას .

ტურიზმი და პროფესიული განათლება

მიუხედავად ამისა, ქვეყანა კვლავ მნიშვნელოვანო გამოწვევების წინაშე დგას: უმუშევრობის მაღალი დონე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დაბალი მაჩვენებელი, სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე თვითდასაქმებულთა დაბალი პროდუქტიულობა, სიღარიბე (განსაკუთრებით რეგიონებში, სოფლად) და ა.შ. დაუსაქმებელთა დიდი რაოდენობის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ქვეყანაში არსებული ე.წ. სტრუქტურული უმუშევრობა, რაც გულისხმობს შრომის ბაზარზე არსებული პროფესიული უნარჩვევების შეუსაბამობას ბაზარზე მომხდარი ცვლილებების შედეგად წარმოშობილ მოთხოვნებით. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა პროფესიული განათლების განვითარება და კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადებაა. ამ მიზნის მისაღწევად მთავრობის მიერ 2007 წლიდან დაიწყო მნიშვნელოვანი დაპოზიტიური რეფორმების გატარება, რომელშიც ჩაერთო ყველა დაინტერესებული მხარე, ე.წ. სოციალური პარტნიორი (მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა შორის აღსანიშნავია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ შეტანილი წვლილი – მატერიალური და ადამიანური რესურსებით დახმარება). რეფორმის დასაწყისში, 2007 წლის 28 მარტს, მიღებულ იქნა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ". დაახლოებით წელიწადნახევარში, შემუშავდა „პროფესიული განათლების განვითარების 2009-2012 წლების სტრატეგია", აღნიშნული სტრატეგიის განხორციელებისას შემუშავდა ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, განვითარდა პროფესიულ სასწავლებელთა ინფრასტრუქტურა და აშენდა ახალი სასწავლებლები.

2013 წელს, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, შემუშავდა 2013-2020 წლების სტრატეგია, რომლის მიზანია მომდევნო ათწლეულში საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების მხარდაჭერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის დაძლევაში; პროფესიული უნარების განვითარე-

ბა, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ა.შ. აღნიშნული სტრატეგიის მიზნების მისაღწევად, ასევე, შემუშავდა 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია ძირითადი ამოცანები, ღონისძიებები და შეფასების ინდიკატორები .

მოქმედი კანონმდებლობა იცნობს პროფესიული განათლების ორ სახეს: ფორმალურსა და არაფორმალურს:

1. ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით.

2. არაფორმალურად ითვლება პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად. მისი სახელმწიფო აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას. არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების აღიარება დაუშვებელია პროფესიული განათლების IV და V საფეხურების ფარგლებში პროფესიული განათლება მოიცავს ხუთ საფეხურს, რომლებიც განისაზღვრება სწავლის შედეგების შესაბამისად:

I საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების ერთგვაროვან სიტუაციებში მეთვალყურეობით შესრულების უნარი;

II საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების გარკვეული დამოუკიდებლობით შესრულების უნარი;

III საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს თავისი მოვალეობები და ადეკვატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად;

IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, პროფესიული ცოდნა გამოიყენოს ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად, ზედამხედველობა გაუწიოს სხვების საქმიანობას და აიღოს გარკვეულ პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე;

V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სხვების სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ისე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას.

2013 წლამდე სამინისტრო სტუდენტს დაფინანსებას აძლევდა მხოლოდ პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში. პრიორიტეტული პროგრამების ნუსხას განსაზღვრავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული იყო პრიორიტეტული სასწავლო პროგრამები ცალკეული პროფესიული სასწავლებლებისთვის მათი პროფილიდან გამომდინარე. პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამად განისაზღვრებოდა პროფესია, რომელიც მოთხოვნადი იყო მთლიანად ქვეყნისა თუ რეგიონულ შრომის ბაზარზე. შესაბამისად, პრიორიტეტული პროგრამების ნუსხა შეიძლება განსხვავებული ყოფილიყო რეგიონების მიხედვით. თუმცა, სამინისტრო არ ფლობდა საკმარის და სანდო ინფორმაციას ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ. ამის მიზეზი არის ის, რომ არც საქართველოს მთავრობას და არც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ ჰქონდა შემუშავებული შრომის ბაზრის კვლევის სტრატეგია, რის შედეგადაც აღნიშნულ პერიოდში არ განხორციელებულა საკმარისი კვლევები შრომის ბაზრის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით. ამიტომაც, სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები არ ეყრდნობოდა სანდო და უტყუარ ინფორმაციას შრომის ბაზარზე არსებული საჭიროებების შესახებ. მიუხედავად ინფორმაციის სიმწირისა, გარკვეული ღონისძიებები აღნიშნული კუთხით გასულ წლებში (2007-2012) განხორციელებულია. კერძოდ, რამდენიმე კვლევა ჩატარდა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების (USAID, IOM, GiZ) მიერ, რის შედეგადაც მოხდა საქართველოს შრომის ბაზრის შესწავლაცალკეული რეგიონის მიხედვით. თუმცა სამინისტროს არ გაუთვალისწინებია აღნიშნული კვლევების შედეგები, რადგანაც მათი თვალსაზრისით, ისინი ფრაგმენტული და არასისტემატური იყო.

კვლევების შედეგები და დამსაქმებლის მიერ მოთხოვნადი პროფესიები ნაწილობრივ ემთხვევა სამინისტროს მიერ პროფესიული კოლეჯებისათვის განსაზღვრულ სასწავლო პრიორიტეტებს:

1. სამშენებლო სფერო;

2. ტურიზმი (ტუროპერატორი, გიდი, სასტუმრო საქმე);

3. ინფორმაციული ტექნოლოგიები;

4. ტექნიკოსი (ავტომობილისა და სხვა მანქანა-დანადგარების);

5. სარესტორნო მომსახურება, კვება.

აღსანიშნავია, რომ, ტურიზმის სფეროში საკადრო მოთხოვნას შეესაბამება მიწოდება, თუმცა, მიუხედავად ამისა, შესაბამისი უნარჩვევების მქონე კადრების მომზადება არასაკმარისი და არადამაკმაყოფილებელია, რადგან ისინი ეუფლებიან ზოგად, და არა ტურისტული მომსახურების სპეციფიკურ უნარჩვევებს .

ტურიზმი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში შედარებით ახალი სფეროა, განათლების მნიშვნელობა და მიზნები, რომ გავიაზროთ აუცილებელია ეროვნული ტრადიციების გათვალისწინება, სასურველია შეიქმნას ეროვნული ტენდენციებისა და რეალობის ამსახველი ტურიზმის მეთოდური სახელმძღვანელოები, რაც შესძენს სტუდენტს ცოდნასა და უნარს განავითაროს საკუთარი ქვეყნის ტურისტული ბიზნესი, გახადოს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო მასშტაბით.

სახელმწიფოს მხრიდან გონივრულ ნაბიჯად აღიქმება 2012-2013 წლის პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის შემუშავება და 2013 წლის სექტემბერში მთავრობის [1]224 დადგენილების მიღება, რომლითაც დაფინანსების წესი და პირობები განისაზღვრა, ასევე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაც მოიცვა – ეს არის პოპულარული სტრატეგია – „სწავლა სიცოცხლის მანძილზე და საყოველთაო მისაწვდომობა პროფესიულ განათლებაზე" .აღსანიშნავია რომ,არა მარტო ევროპაში არამედ მთელ მსოფლიოში არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება პროფესიულ განათლებასა და ეკონომიკის განვითარების დონეს შორის. ევროპაში მოთხოვნა პროფესიულ განათლებაზე საკმაოდ მაღალია. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით დასაქმებულთა 60%-ზე მეტი სწორედ პროფესიული განათლებითაა. აკადემიურისაგან განსხვავებით, პროფესიული განათლება პრაქტიკული უნარების გამომუშავების და ამ უნარის გამოსამუშავებლად საჭირო ცოდნის გადაცემაზეა ორიენტირებული, ანუ სწორედ პროფესიული განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესისათვის (ტურიზმი) საჭირო სამუშაო ძალის ძირითადი ბირთვის მომზადება.

პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა საქართველოში 2007 წლიდან დაიწყო. რეფორმის აუცილებლობა განაპირობა პროფესიული განათლების სისტემაში არსებულმა პრობლემებმა. კერძოდ: პროფესიული განათლების დაბალი პრესტიჟი, პოტენციური სტუდენტების ინფორმირებულობის დაბალი დონე, გარკვეული პროფესიების დაუფლების შესაძლებლობების არარსებობა, წინმსწრები განათლების აღიარების სისტემის არარსებობა, პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის დახვეწის აუცილებლობა, პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში ხარისხისუზრუნველყოფის სისტემის არარსებობა. გარდა ამისა, არ იყო უზრუნველყოფილი პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და არსებობდა ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხი". კერძოდ, სისტემა ვერ უზრუნველყოფდა სტუდენტთა თავისუფალ გადასვლას პროფესიულ და სხვა საგანმანათლებლო დონეებზე. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2009-2020) წლები) მიზნებია:

ა) კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრებისათვის;

ბ) პროფესიული განათლების სისტემის დაახლოება და ჰარმონიზაცია ერთიან ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან;

გ) პიროვნების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა;

დ) ადამიანების სოციალური დაცვის ხელშეწყობა.

რეფორმას საფუძვლად დაედო პროფესიული განათლების სახელმწიფო პრიორიტეტად აღიარება.

რეფორმის შედეგად განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები. მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, გაიარონ ავტორიზაცია და დააკმაყოფილონ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტები.

პროფესიული განათლების სისტემა ამჟამად მოიცავს: 19 საჯარო პროფესიულდა საზოგადოებრივ კოლეჯს, 54 კერძო პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯს. ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება აგრეთვე აქვთ უმაღლეს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლიდან საგრძნობლად დაიხვეწა პროფესიული განათლების საკანონმდებლო ბაზა: დამტკიცდა არაფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურები, შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებში გაანგარიშების წესი, დამტკიცდა პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტი, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის

მიზნით შემოღებულ იქნა ხარისხის მართვის შიდა (თვითშეფასება) და გარე (ავტორიზაცია და აკრედიტაცია) მექანიზმები.

განათლებისა მეცნიერების სამინისტროს ცნობით მიმდინარე წელს ყველაზე მითხოვნადი პროგრამებია ტურიზმი,მარკეტინგი, ოფის-მენეჯერი და სხვ. წელს პირველად პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა შშმპ-ებს მიეცათ, მათი რაოდენობა დღევანდელი მონაცემებით – 250-ია პროფესიული განათლების სტრატეგია სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, სამუშაო ფორმატში, ითვალისწინებს პროფესიულ კოლეჯებში ადამიანური რესურსების გაძლიერებას და ფიზიკური გარემოს უკეთ ადაპტაციას.

ასევე უნდა აღინიშნოს დაწყებულია (2013-2014) პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის მოდულური პროგრამის განხორციელება (DAKUM), რომელიც ხელს შეუწყობს განათლების ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესებას შრომის ბაზრის მოთხოვნებზე უკეთ ორიენტირებული მეთოდოლოგიის დანერგვის საფუძველზე. პროგრამის განხორციელების პირველი ეტაპი დამთავრებულია და მოიცვა 14 დარგობრივი პროფილი 50 პროფესიული სტანდარტი მათ შორის ბიზნესადმინისტრირების საკვალიფიკაციო ჩარჩოს ტურიზმის სექტორის მიმართულებები: ტუროპერატორი, სასტუმრო საქმის მწარმოებელი, გიდი, სარესტორნო საქმის მწარმოებელი, მიმღები-რეცეფციონისტი, ბარმენი, სომელიე. მიმდინარეობს მეორე ეტაპი – პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა" პროფესიული განათლების რეფორმის 2013-2020 წლების სტრატეგიისა და ევროკავშირის 27 მილიონიანი საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტი შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვაა.

ევროპის თითქმის ყველა ქვეყანამ პროფესიული განათლების სფეროში განახორციელა რეფორმა. აღნიშნულ რეფორმას ევროპაში საფუძველი დაუდო ლისაბონის სტრატეგიამ (მარტი, 2000), რომლის თანახმადაც ევროპაში უნდა იყოს ყველაზე კონკურენტუნარიანი და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილებით. აღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭირო გახდა არა მარტო ევროპული ეკონომიკის რადიკალური ტრანსფორმაცია, არამედ ასევე განათლების სისტემის მოდერნიზაციაც. 2002 წლის ნოემბერში ევროკომისიისა და ევროკავშირის განათლების მინისტრების მიერ მიღებულ იქნა კოპენჰაგენის დეკლარაცია პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ", რომელმაც საფუძველი დაუდო კოპენჰაგენის პროცესს და რომელიც ევროპული პროფესიული განათლებისა და ტრენინგის კოოპერაციის გაძლიერებას ისახავს მიზნად.მჟამად კოპენჰაგენის პროცესში ჩართულია ევროპის 33 ქვეყანა. იმის გამო, რომ კოპენჰაგენის პროცესში მონაწილეობს მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, საქართველო არ არის პროცესის მონაწილე, თუმცა ეს ფაქტი არ არის დამაბრკოლებელი გარემოება იმისათვის, რომ საქართველოში, პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებულმა რეფორმამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ სივრცესთან დაახლოება.

დასკვნა

მზარდი მოთხოვნილება პროფესიულ კადრებზე - ბოლო წლებში მიღწეული მაკროეკონომიკური სტაბილურობა ხელს უწყობს ინვესტიციებს და ეკონომიკის განვითარებას, რაც ასევე ზრდის მოთხოვნას კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე; გამოიკვეთა პროფესიული კადრების არსებობის საჭიროება. ტურიზმი და მომსახურეობის სფერო, მშენებლობა, მეღვინეობა და ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა, აგრეთვე ჯანდაცვა და სხვა მრავალი სფერო უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების გარდა საჭიროებს სპეციალურად მომზადებულ პრაქტიკოსებს, რომლებსაც შეეძლებათ კონკრეტული პრობლემების გადაჭრა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური განვითარების ტემპი მოითხოვს ამგვარი კადრების სწრაფ მომზადებას, რასაც სწორედ პროფესიული განათლებისა და მომზადების სიტემა უზრუნველყოფს.

პროფესიული განათლების პრესტიჟი როგორც საბჭოთა, ისე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, საკმაოდ დაბალი იყო. დღეს, როდესაც სახელმწიფომ გადაწყვიტა პროფესიული განათლების სისტემის ძირეული რეფორმა, მისი პრესტიჟის ამაღლება ერთ-ერთ საკვანძო საკითხად გვესახება.შესაბამისად სასურველია სასურველია, რომ საქართველოში ყველა დაინტერესებული პოტენციური დამსაქმებელი იყოს ინფორმირებული პროფესიული განათლების შედეგად მიღებული კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების შესახებ, რაც მათ სათანადო პროფესიონალების დაქირავებას გაუადვილებთ. ასევე სასურველია, რომ

ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პროფესიული განათლების რეფორმის შესახებ მიეწოდოს ჩვენ საერთაშორისო პარტნიორებს, რათა ამ მასშტაბითაც უზრუნველყოფილ იქნეს ქართული პროფესიული განათლების მაღალი პრესტიჟი და შესაბამისად, ჩვენი სპეციალისტების ინტეგრაცია საერთაშორისო ტურისტულ შრომით ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2011.
2. European Training Foundation, Strategy for reform of vocational education and training (2009-2012), Report on main outputs and outstanding challenges, Georgia 2012
3. AEAG, dvv international, პროფესიული განათლება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები, 2006.
4. http://www.mes.gov.ge/-განა. და მეცნ. სამინისტრო
5. http://www.eqe.ge/ - განათ. ხარისხის ეროვნული ცენტრი
6. http://www.tpdc.ge/ - მასწავლებელთა პროფესიული განვით. ეროვნული ცენტრი
7. European Training Foundation, Strategy for reform of vocational education and training (2009-2012), Report on main outputs and outstanding challenges, Georgia 2012
8. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2007
9. საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების/ 2013–2020 წლების სტრატეგია.

TOURISM AND PROFESSIONAL EDUCATION

LALI LIQELADZE
PhD of GTU
E-mail: lalitourizm@gmail.com

Summary

The article is about of Georgian economy and one of its the prior area tourism sector for the development of vocational education in the importance of urgency. The international standard for low and mid-level travel services to train specialists, for development of Georgian economic. The vocational education sector reform strategy and the implementation of the recommendations for problem solving.